

კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის

კოლეჯის დირექტორის ბრძანება № 8, 09.02.2016 დამტკიცებული 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

1. სასწავლო პროცესი

გატარებული ღონისძიებები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სრულყოფა, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე მუშაობა;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების პროცესის ხელშეწყობისთვის მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმების სრულყოფა, მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გზების დასახვა.
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული სისტემებით კოლეჯის უზრუნველყოფა. სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის შექმნა ისეთი ზოგადი კომპეტენციების ასათვისებლად, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა;
- საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის, როგორც პროფესიული სტუდენტებისათვის ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის;

2. საბიბლიოთეკო საქმიანობა

გატარებული ღონისძიებები:

- ავტორიტეტული და რეიტინგული თანამედროვე სახელმძღვანელოების, პერიოდული გამოცემების, სასწავლო კომპიუტერული პროგრამების ორიგინალური ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების შეძენა-განახლება;
- კოლეჯის ბიბლიოთეკის მატერიალურ -ტექნიკური ბაზის ნაწილობრივი განახლება;

3. ინფრასტრუქტურა

გატარებული ღონისძიებები:

- კოლეჯის ვებგვერდის განვითარება დამოუკიდებელი ჰოსტინგის ქვეშ;
- კოლეჯის სასწავლო ინვენტარის ნაწილობრივი განახლება.

4. კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება

გატარებული ღონისძიებები:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება;
- ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავებისათვის პერსონალის მოძიება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისათვის მსოფლიოს წამყვანი სასწავლო დაწესებულებების გამოცდილების გათვალისწინება;
- საოფისე ინვენტარის განახლება;

- კომპიუტერული ბაზის განახლება;
- სასაწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწაზე ზრუნვა

მართალია, კოლეჯს ხვალინდელი წარმატებისათვის 2016-2017 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი არ განუხორციელებია და შესაბამისად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ის ღონისძიებები, რაც სასწავლო პროცესის განხორციელებასა და მონიტორინგს უკავშირდებოდა ვერ შესრულდა, კოლეჯი მუდმივად ზრუნავდა დაწესებულების მატერიალური რესურსების განახლებასა და ახალი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დამატებისათვის მომზადების პროცესზე.

შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის

დირექტორი

მზია ოსიაშვილი

